ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია

2023 წელი, I-II-III კვარტალი

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა - (30 07).

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო.

ათას ლარებში

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა	წლიური დაზუსტებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 07	სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა					107 230.4

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- ქ. რუსთავში აშენდა მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის მოსაცდელის შენობა და შესაბამისი ავტომანქანებისათვის საჭირო სადგომი, ასევე არსებული შენობები და გარე ტერიტორია ადაპტირდა შშმ პირებისთვის;
- ქ. თელავში მოეწყო C, C1, CE, D, D1, DE კატეგორიების პრაქტიკული გამოცდისათვის საჭირო ასფალტის მოედანი და აშენდა შესაბამისი მოსაცდელი, ასევე აშენდა იარაღის ბალისტიკისთვის საჭირო შენობა ბასეინით, იარაღის პრაქტიკული გამოცდისათვის საჭირო შენობა და არსებულ ცენტრალურ შენობას ჩაუტარდა რემონტი;
- ქ. თბილისში იარაღების ბალისტიკისთვის (ბასეინით), იარაღის თეორიული და პრაქტიკული გამოცდისათვის აშენდა ახალი შენობა და ასევე შენობები ადაპტირდა შშმ პირებისთვის;

- ქ. ზუგდიდში განხორციელდა მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის „B" კატეგორიისათვის საჭირო მოედნის გადიდება/გადაკეთება და იარაღების ბალისტიკისთვის, იარაღის პრაქტიკული გამოცდისთვის და მართვის მოწმობის პრქტიკული გამოცდის მოსაცდელისთვის აშენდა ახალი შენობა;
- ქ. ფოთში იარაღების ბალისტიკისთვის და იარაღის პრაქტიკული გამოცდისათვის აშენდა ახალი შენობა და ასევე C, C1, CE, D, D1, DE კატეგორიების პრაქტიკული გამოცდისათვის მოეწყო ბეტონის მოედანი შესაბამისი მოსაცდელით და ავტოფარეხით;
- დასრულების ეტაპზეა ქ. გორში იარაღების ბალისტიკისთვის, იარაღის თეორიული და პრაქტიკული გამოცდისათვის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება/ექსპერტიზისათვის საჭირო შენობების მშენებლობა და არსებულ ცენტრალურ შენობაში მიმდინარე რემონტი (დასრულების ვადა 15 ნოემბერი);
- დაწყებულია და მიმდინარე წლის ბოლოს დასრულდება ქ. რუსთავში სასადილო შენობის გადაკეთება სატელეფონო კონსულტაციის სამსახურისთვის, ცენტრალურ შენობაში არქივის მოწყობა, პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპისათვის საჭირო სარეგისტრაციო შენობის გადიდება და გარე ტერიტორიის მოწყობა;
- შესყიდულ იქნა მართვის მოწმობის „B" კატეგორიის პრაქტიკული გამოცდისათვის საჭირო 45 ერთეული მსუბუქი ავტომანქანა შესაბამისი საგამოცდო სისტემებით და აპარატურით;
- შესყიდულ იქნა 2 ერთეული სატვირთო ავტომანქანა პრაქტიკული გამოცდისათვის ("C" - კატეგორია);
- შესყიდულ იქნა 1 ერთეული სამეურნეო დანიშნულების სატვირთო ფურგონი;
- შესყიდულ იქნა სააგენტოს თანამშრომლების გადაასადგილებლად საჭირო ორი ერთეული ავტობუსი (შემოყვანის ვადა - 2024 წლის პირველი კვარტალი);
- განხორციელდა სააგენტოს ოპერატორებისთვის საჭირო ბარ-კოდის წამკითხველი 275 ერთეული მოწყობილობის შეძენა;
- განხორციელდა სააგენტოს ექსპერტებისთვის საჭირო სპეციალური ანტივანდალური მობილური ტელეფონების და 50 ერთეული პლანშეტის შეძენა;
- განხორციელდა სააგენტოს ოპერატორებისთვის საჭირო 150 ერთეული კომპიუტერების შეძენა;
- შეძენილ იქნა მართვის მოწმობის თეორიული გამოცდისათვის საჭირო 130 ერთეული კომპიუტერი (თხელი კლიენტი);
- შეძენილ იქნა ცხელი ხაზის თანამშრომლებისათვის საჭირო 13 ერთეული სპეციალური კომპიუტერი;
- სააგენტოს თანამშრომლებისთვის შეძენილ იქნა 13 ერთეული ფერადი პრინტერი;
- განხორციელდა სახელმწიფო სანომრე ნიშნების საბეჭდი 3 ერთეული დანადგარის (ჰიდრავლიკური წნეხი და თერმომტვიფრავი დანადგარი) შეძენა;
- განხორციელდა საერთაშორისო მართვის მოწმობის დამამზადებელი 6 ერთეული თერმო წნეხის შეძენა;
- პრაქტიკული გამოცდის თანამშრომლების შემოწმების მიზნით შეძენილ იქნა 9 ერთეული ალკომეტრი;
- იარაღის კანონის ცვლილებასთან დაკავშირებით (რომელიც ამოქმედდა მიმდინარე წლის 1 აგვისტოს) შეძენილ იქნა სპეციალური მაგიდები, კამერები, სახაზავები, ტყვიის დასაშლელი მოწყობილობები, ტყვიის შესანახი ქაღალდის ყუთები;

- ხელშეკრულება გაფორმდა და მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლომდე ქ. რუსთავში დამონტაჟდება საგამოცდო მანქანებისათვის საჭირო სამრეცხაო დანადგარები;
- ხელშეკრულება გაფორმდა 2 500 000 ცალ სახელმწიფო სანომრე ნიშნების დასამზადებელი ალუმინის ფირფიტების მოწოდებაზე;
- შეძენილ იქნა სააგენტოს თანამშრომლებისათვის საჭირო ავეჯი;
- შესყიდულ იქნა სააგენტოს თანამშრომლებისათვის საჭირო უნიფორმა;
- ხელშეკრულება გაფორმდა და მოწოდებულია ოპტიკური ქსელის მოწყობილობები შესაბამისი ლიცენზიებით;
- შესყიდულ იქნა ქსელურ ინფრასტრუქტურაში არსებული კომუტატორების და მარშუტიზატორების მწარმოებლის მხარდაჭერა/ლიცენზიების გაგრძელება;
- შესყიდული და განახლებული იქნა სააგენტოს სერვერული ქსელური ინფრასტრუქტურა;
- განხორციელდა და ხორციელდება შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის საჭირო საწვავების შეძენა;
- განხორციელდა შს სამინისტროსთვის საჭირო 500 ერთეული კომპიუტერის შესყიდვა;
- განხორციელდა შს სამინისტროსთვის საჭირო 30 ერთეული მსუბუქი ავტომანქანის შესყიდვა;
- თანხები გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი - ,,112“-ს და სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს;

- „სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 31 იანვრის №150 ბრძანებაში განხორციელდა ცვლილებები, კერძოდ: 2023 წლის პირველი მარტიდან ამოქმედდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებები, რითაც ახლებურად დარეგულირდა შიდა ტრანზიტის გაცემის (მინიჭების) და გამოყენების წესებს, კერძოდ, შეიცვალა შიდა ტრანზიტის გაცემის საფასური, ხოლო გრძელვადიანი შიდა ტრანზიტი გაუქმებული იქნა. სწორედ აღნიშნულის რეგულაციის მიზნით განხორციელდა მითითებულ ბრძანებაში ცვლილებები. ასევე, ცვლილება შეეხება ინდივიდუალური წესით დამზადებულ სახელმწიფო სანომრე ნიშნების (ე.წ. 10 000 ლარიანი ნომერი) ციფრების ან/და ციფრებისა და სიმბოლოების გამოსახვას.
- სიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გირავნობის რეგისტრაციის, ნასამართლობის შესახებ ცნობისა და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 25 ივნისის №892 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლის თანახმად, ავტორიზებული საწარმოსთვის სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე, გადასაცემ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოვლენილი და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა აღრიცხვის ერთიან საინფორმაციო ბანკში აღრიცხული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ მონაცემების

ჩამონათვალს დაემატა ვიდეოფირზე და ფოტოფირზე დაფიქსირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის ამსახველი ვიდეოჩანაწერის და ფოტოსურათის თაობაზე მონაცემი.

- „სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩატარების, მართვის უფლების მინიჭების, გაუქმების, შეჩერებული, ჩამორთმეული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) მართვის უფლების აღდგენის, მართვის მოწმობის, ტრამვაის მართვის მოწმობისა და საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემის (მათ შორის, შეცვლისა და აღდგენის) და გაუქმების, მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრის წარმოების, აგრეთვე უცხო ქვეყნის მიერ გაცემული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შეცვლისა და აღიარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 1 აგვისტოს №598 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლის თანახმად, შეიცვალა ქ.საჩხერის, ქ.თელავის და ქ. ახალციხის საგამოცდო მარშრუტები.
- "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე, მომზადდა და გადაიგზავნა შსს-ში „სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 31 იანვრის №150 ბრძანებაში ცვლილებების პროექტი, რომლის თანახმად, შიდა ტრანზიტის დაკარგვის შემთხვევაში საფასურის გადახდის წესი, და ასევე გაუქმდა ის ნორმები, რომელიც არეგულირებდა პირის მიერ მის სარგებლობაში არსებული, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შენიშვნის 11 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის „ე1“–„ე7“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე ავტომობილის რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის) ამავე მუხლის „ე1“–„ე7“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული რომელიმე ავტომობილის რეგისტრაციის ნომრით (სახელმწიფო სანომრე ნიშნით) შეცვლისას ერთი წყვილი ავტომობილის ახალი რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის) გაცემის საფასური შეადგენდა ა) 35 ლარს, თუ ავტომობილის ახალი რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის) გაცემისათვის დადგენილი საფასური ტოლია ან ნაკლებია იმ საფასურზე, რომელიც მოთხოვნის დღისათვის დადგენილია ავტომობილის შესაცვლელი რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის) გაცემისათვის ან ბ) სხვაობას ავტომობილის ახალი რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის) გაცემისათვის დადგენილ საფასურსა და იმ საფასურს შორის, რომელიც მოთხოვნის დღისათვის დადგენილია ავტომობილის შესაცვლელი რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის) გაცემისათვის, თუ ავტომობილის ახალი რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის) გაცემისათვის დადგენილი საფასური მეტია იმ საფასურზე, რომელიც მოთხოვნის დღისათვის დადგენილია ავტომობილის შესაცვლელი რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის) გაცემისათვის.

- „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის N510 დადგენილებაში და „ტექნიკური რეგლამენტის – ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დამაბინძურებელი სხვადასხვა სახეობის სატრანსპორტო და სხვა მოძრავ-მექანიკური საშუალებებიდან გაფრქვევის (გამონაბოლქვის) ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული ზღვრულად დასაშვები ნორმების საქართველოს ტერიტორიაზე სამოქმედოდ შემოღების შესახებ" დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 ივნისის №238 დადგენილებაში შევიდა ცვლილებები, რომელთა მიღებაც განპირობებულია „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ" საქართველოს კანონის დანაწესებისთან ზემოაღნიშნული დადგენილებების შესაბამისობაში მოყვანა;
- „სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნები), შიდა ტრანზიტის, ტრანზიტული ნომრისა და „TEST" ნომრის ნიმუშის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 აპრილის №278 დადგენილებაში შევიდა ცვლილებები, რომლის თანახმად, 2023 წლის 1 ნოემბრიდან ამოქმედდება ტრანზიტული ნომრების ახალი ნიმუშები, ხოლო 2024 წლის 1 აპრილიდან შიდა ტრანზიტული ნომრების ახალი ნიმუშები.
- „იარაღის შესახებ" საქართველოს კანონში, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონში და თანმდევ საკანონმდებლო აქტებში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, რომელიც ამოქმედდება 2023 წლის პირველი აგვისტოდან, მომსახურების სააგენტომ მოამზადა და შესაბამისად მიღებულ იქნა არაერთი სამართლებრივი აქტი, რომლითაც ხორციელდება "იარაღის შესახებ" საქართველოს კანონის დანაწესების აღსრულება. კერძოდ: შეტანილ იქნა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ლიცენზიისა და ნებართვების გაცემის წესისა და დამატებითი სანებართვო პირობების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 21 სექტემბრის №162 დადგენილებაში ცვლილების, „სარგებლობაში ან საკუთრებაში არსებული იარაღისა და საბრძოლო მასალის ტარების, შენახვის, გადატანა-გადაზიდვის, გადაგზავნისა და რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 28 თებერვლის №164 ბრძანებაში ცვლილები და მიღებულ იქნა ახალი იარაღის ბალისტიკური შემოწმებისა და ექსპერიმენტული გასროლის წესი, რომელიც დამტკიცდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით; ასევე, შევიდა ცვლილებები „სამოქალაქო ცეცხლსასროლი იარაღის და გაზის (აირის) იარაღის ბრუნვის წესების ცოდნაში გამოცდის საგამოცდო ბილეთების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 სექტემბრის №728 ბრძანებაში და „სამოქალაქო ცეცხლსასროლი იარაღის და გაზის (აირის) იარაღის ბრუნვის წესების ცოდნაში გამოცდის ჩატარების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 სექტემბრის №729 ბრძანებაში.„სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩატარების, მართვის უფლების მინიჭების, გაუქმების, შეჩერებული, ჩამორთმეული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) მართვის უფლების აღდგენის, მართვის მოწმობის, ტრამვაის მართვის მოწმობისა და

საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემის (მათ შორის, შეცვლისა და აღდგენის) და გაუქმების, მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრის წარმოების, აგრეთვე უცხო ქვეყნის მიერ გაცემული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შეცვლისა და აღიარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 1 აგვისტოს №598 ბრძანებაში შევიდა ცვლილება. რომლის თანახმად, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის საგამოცდო მარშრუტებში შევიდა ცვლილებები. კერძოდ, 2023 წლის 1 სექტემბრიდან C, C1, D, D1 კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ პრაქტიკულ გამოცდას დაემატა მე-2 ეტაპი (რეალურ საგზაო მოძრაობაში გამოცდის ჩაბარება). ამასთან, 2023 წლის 1 სეტემბრიდან ამოქმედდა სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური გამართულობის შემოწმებასთან დაკავშირებული კითხვები.

- შევიდა ცვლილებები ,,სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გირავნობის რეგისტრაციის, ნასამართლობის შესახებ ცნობისა და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 25 ივნისის №892 ბრძანებაში, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ დამზადებული/გაცემული დოკუმენტის ელექტრონული აპოსტილით დამოწმების წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 9 მარტის №17 ბრძანებაში და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იუსტიციის სახლის მეშვეობით მომსახურების გაწევის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2017 წლის 1-2 მაისის №234 – №230 ერთობლივ ბრძანებაში, რომლის თანახმად, ცნობები გახდა ელექტრონული, ამასთან, დაემატა ორი ახალი ცნობა და გირავნობის/ლიზინგის ავტორიზებული მომხარებელს მიეცა შესაძლებლობა გირავნობის/ლიზინგის რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტები წარადგინოს მომსახურების სააგენტოში ელექტრონულად;
- შემუშავდა საინფორმაციო დოკუმენტი სააგენტოს სერვისების შესახებ, რაც ერთი მხრივ გაამარტივებს სამუშაო პროცესს, მეორე მხრივ კი ინფორმაციის გაცემისას, როგორც სატელეფონო კონსულტაციის, ასევე საინფორმაციო სამსახურის თანამშრომლები, საერთო დოკუმენტით იხელმძღვანელებენ.
- დაიწყო საინფორმაციო კამპანია სააგენტოს ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე, რომლის ფარგლებშიც გამოქვეყნდა მოქალაქეებისთვის საინტერესო / საჭირო ინფორმაცია სააგენტოს სერვისების შესახებ (სულ 28 ბანერი).

- შემუშავდა სააგენტოს სერვისების ცალკეული კატეგორიების/ქვეკატეგორიების მიხედვით გაცემული ინფორმაციის საფუძველზე მოქალაქეთა მომართვიანობის სტატისტიკის წარმოების მეთოდი.
- საანგარიშო პერიოდში სააგენტომ მომსახურება გაუწია 465 788 მოქალაქეს და 33 686 ორგანიზაციას;
- სატელეფონო კონსულტაციისა და საინფორმაციო სამსახურის თანამშრომლებმა დისტანციური კონსულტაცია 260 831 მომხმარებელს გაუწიეს (*სატელეფონო კონსულტაციის სამსახური - 188 769 ნაპასუხები ზარი; საინფორმაციო სამსახური - 72 062 შეტყობინება (ჩატი, ელფოსტა, ფეისბუქი).*
- მიმდინარე წლის 1-ლი იანვრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით ადმინისტრაციის საქმისწარმოების სამსახურში ჯამურად დამუშავდა 90552 წერილი, აქედან მატერიალური სახით შემოვიდა და დარეგისტრირდა 7567 ფიზიკური პირის განცხადება, 6341 სახელმწიფო უწყებებიდან შემოსული წერილი, 7006 იურიდიული პირის წერილი. სამსახურიდან გაიგზავნა 12379 მომზადებული პასუხი (მატერიალურად, ელ.ფოსტით ან eflow-თი). ჩამოთვლილი ციფრების გარდა, დანარჩენი კორესპონდენცია დამუშავდა საქმისწარმოების ელექტრონული მიმოცვლის სისტემაში (eflow) ელექტრონული სახით.
- საანგარიშო პერიოდში მომსახურების სააგენტომ უმასპინძლა სხვადასხვა ქვეყნის 8 დელეგაციას, მათ შორის ირლანდიის პარლამენტის თავმჯდომარეს, ესპანეთის სამეფოს შინაგან საქმეთა მინისტრს და სომხეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს.
- მომსახურების სააგენტოში დანერგილი სიახლეების გასაშუქებლად დაიგეგმა სატელევიზიო ეთერები, საანგარიშო პერიოდში სულ - 22 სატელევიზიო ეთერი. ასევე, სიახლეები გავრცელდა სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოში.
- შეიცვალა და განახლდა საცნობარო პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის საშუალებით ცნობების გაცემა გახდა შესაძლებელი ელექტრონულად კვალიფიციური შტამპის გამოყენებით;
- შეიცვალა და განახლდა იარაღების პროგრამა რომელიც მოვიდა ახალი კანონმდებლობის შესაბამობაში;
- შეიცვალა და განახლდა გირავნობის პროგრამული უზრუნველყოფა რომლის საშუალებით გირავნობის აღრიცხვა და ასევე ხელშეკრულებები გახდა ელექტრონული.
- განახლდა და დაემატა C,D,C1 და D1 პრაქტიკული გამოცდების სატრანსპორტო საშუალებების აღჭურვა და ასევე მათი პროგრამული უზრუნველყოფა რომლის საშუალებითაც ტარდება გამოცდები რეალურ ქუჩებზე.
- სააგენტოს რუსთავის დეპარტამენტში და თელავის რეგიონალურ სამსახურში დაემატა ახალი უსადენო ქსელის მოწყობილობები.
- მომსახურების სააგენტოს რუსთავის დეპარტამენტში, თბილისის სამმართველოში და ზუგდიდის, გორის, თელავის რეგიონალურ სამსახურებში მომზადდა ახალი შენობებისთვის კომპიუტერული ქსელის მოწყობის პროექტები და მოხდა მათი გამართვა.

- მომსახურების სააგენტოში დაინერგა სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციის და სხვა ოპერაციების აღრიცხვის ახალი პროგრამული უზრუნველყოფა “AMS” –ი.